



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

კუტუბიძე რამაზ ავთანდილის ძე

კუტუბიძე რამაზ ავთანდილის ძე (31. X. 1941, თბილისი, – 28. I. 2021, იქვე), ბავშვთა ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1984).

1965 დაამთავრა თსსი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ჩოხატაურის ამბულატორიაში ქირურგად; 1969-იდან – თბილ. I საავადმყოფოში; 1970-იდან იყო თსსუ-ის ბავშვთა ქირურგ. კათედრის თანამშრომელი; 1984-94 – კათედრის პროფესორი; 1994-2017 – კათედრის გამგე; 2017 მიენიჭა ემერიტუსის წოდება. 1994-იდან ხელმძღვანელობდა თბილ. სამედ. აკად. ბავშვთა ქირურგ. კურსს, 1996-იდან იყო საქართვ. ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

კ. არის ავტორი სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 1 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს, რებიც ეხება ბავშვთა ქირურგიის აქტუალურ პრობლემებს.

კ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2017);

თხზ.: ქირურგიული ჩირქოვანი ინფექციები სხვადასხვა ასაკის ბავშვებში, თბ., 2000; კუტნაწლავის ტრაქტის განვითარების მანკები, თბ., 2002; ბავშვთა ქირურგია, თბ., 2003; ბავშვთა აბდომინალური ქირურგია, თბ., 2017.
